ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8150103

ნომერი: AR11156663

თარიღი : 13.08.2026

გაცემის თარიღი : 05.11.2026

გაცნობის თარიღი : 05.11.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი ლილო;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე ბენაშვილი პ/ნ 01011086867
- თბილისი საინგილოს V ჩიხი N 34 ბ. 1

ნომენკლატურა :

- ავტოსამრეცხაო
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 5995363; 8117994
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 16.10.2026

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ავტოსამრეცხაო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თორნიკე ბენაშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შპს "ნბ-პეტროლ"

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 226521644

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1624.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 205.3
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 222.79
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 45.67
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 177.12
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1325.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1250.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 75.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 5.33
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 5.03
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.3
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 229,79 კ1-0.2
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 229,79 კ2-0.2
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 259,02 კ3-0.2

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 6063348
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 23.08.2022

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ:
იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა

1. წარმოსადგენია არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა საპროექტო ობიექტის დეტალურად ჩვენებით. ყველა მხრიდან. იმ შეთხვევაში თუ მშენებლობა დარღვევითაა ნაწაროები, დამატებით წარმოსადგგენი იქნება ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
2. წარმოდგენილ იქნას შეთანხმებული პროექტის ავტორის თანხმობა.
3. გენ-გეგმიდან ამოღებულ იქნას საოპერატორო ჯიხური
4. ვინაიდან ფუნქციით ობიექტი ჯიხური (საცალო ვაჭრობისა და მომსახურებისთვის) საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას , მიმართეთ ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ან ამოიღეთ საპროექტო ობიექტი სრული დოკუმენტაციიდან.
5. ვინაიდან, აღნიშნული მიწის ნაკვეთი ექცევა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ავტომაგისტრალის ნატახტარი-რუსთავის (თბილისის შემოსავლელი გზა) და ნატახტარი-ჟინვალის შემოსავლელი საავტომობილო გზის განვითარბის ბუფერში, საკითხი დამატებით გადაგზავნილ იქნა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში (წერილის ნომ.: 60-01263002961), ვინაიდან ამ დროისთვის საკითხი შესწავლის პროცესშია, შესაბამისად პასუხი გეცნობებათ დამატებით, ხოლო აღნიშნული დოკუმენტი გადმოგეგზავნებათ დანართის სახით.

6. საპროექტო მიწის ნაკვეთთან ფიქსირდება შპს "სუპერგაზი 3 +"-ს (ს/კ: N 01.02.177))ხაზობრივი ნაგებობა, საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ, როგორც წერილობით ისე გრაფიკულად დამოწმებული მასალის (გენ-გეგმის) სახით.
7. ვინაიდან გვითანხმებთ ღობეს საჭიროა აღნიშნული ასახოთ ასევე გენ-გეგმაზე, მონტაჟზე კი მიუთითოთ შესაბამისი სიმაღლის ნიშნულები და მასალები.
8. ფოტომონტაჟზე დაიტანეთ მხოლოდ საპროექტო სამუშაოები . ,,ღობესთან სარეკლამო ბრის ადგილი ‘’ ამოღებულ იქნას ვიზუალიზაციიდან. ფოტომონტაჟი დამუშავებულ იქნას რეალური სიტუაციის ამსახველ ფოტოსურათზე. მიუთითეთ ასევე მასალები და სიმაღლის ნიშნულები სრულად.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში განახლებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული განაცხადი დატოვოს განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.